# თავი XVIII.

## სიმპტომები, ნიშნები და ნორმიდან გადახრილი კლინიკური და ლაბორატორიული მონაცემები, რომლებიც არ არის შეტანილი სხვა კლასიფიკაციებში (R00-R99)

აღნიშნული თავი შეიცავს სიმპტომებს, ნიშნებს, კლინიკური კვლევის სხვა პროცედურების პათოლოგიურ შედეგებს და არასრულყოფილად განსაზღვრულ მდგომარეობებს, რომელთა მიხედვითაც სადმე სხვაგან დაკლასიფიცირებული დიაგნოზების დასმა ვერ ხერხდება.

ნიშნები და სიმპტომები, რომლებიც საკმაოდ გარკვეულად მიუთითებენ სათანადო დიაგნოზებს, მიკუთვნებულია კლასიფიკაციის სხვა თავებში მოცემულ კატეგორიებს. ძირითადად, კატეგორიები ამ თავში შეიცავს ნაკლებად განსაზღვრულ მდგომარეობებს და სიმპტომებს, რომლებიც შემთხვევის დამატებითი შესწავლის გარეშე საბოლოო დიაგნოზის დასასმელად თანაბრად მიუთითებს ორი ან მეტი ავადმყოფობის შესაძლებელ არსებობაზე ან ორგანიზმის ორი ან მეტი ორგანოთა სისტემის დაზიანებაზე. პრაქტიკულად, ამ თავის ყველა კატეგორია შეიძლება იყოს განმარტებული, როგორც "სხვაგვარად დაუზუსტებელი", "უცნობი ეტიოლოგიის" ან "გარდამავალი (დროებითი)". ანბანური ინდექსის გამოყენება მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რათა განისაზღვროს, თუ რომელი სიმპტომები და ნიშნებია ამ თავში შესული და რომელი. სხვა თავებში. დარჩენილი ქვეკატეგორიები, დანომრილი .8-ით, ძირითადად გათვალისწინებულია იმ სიმპტომებისათვის, რომელთა მოთავსება კლასიფიკაციის სხვა თავებში ვერ ხერხდება.

ავადმყოფურ მდგომარეობებში, ნიშნებსა და სიმპტომებში, რომლებიც შეტანილია R 00 - R 99 კატეგორიებში, იგულისხმება: ა) შემთხვევები, რომელთა დროსაც არ შეიძლება უფრო ზუსტი დიაგნოზის დასმა, ყველა მოცემული ფაქტის გამოკვლევის შემდეგაც კი; ბ) ნიშნები და სიმპტომები, რომლებიც თავდაპირველი გამოვლინებისას ატარებენ დროებით (გარდამავალ) ხასიათს და რომელთა მიზეზების დადგენა ვერ მოხერხდა; გ) იმ ავადმყოფთა წინასწარი დიაგნოზები, რომლებიც აღარ დაბრუნდნენ შემდეგი გამოკვლევა-მკურნალობისათვის; დ) შემთხვევები, როცა ავადმყოფი გამოკვლევის ან მკურნალობისათვის სხვაგან იყო გაგზავნილი, სანამ დიაგნოზი დაისმებოდა; ე) შემთხვევები, რომლის დროსაც შეუძლებელი იყო უფრო ზუსტი დიაგნოზის დასმა რაღაც სხვა მიზეზების გამო; ვ) ზოგიერთი სიმპტომი, რომელთათვისაც დამატებითი ინფორმაციაა წარმოდგენილი, რაც თავის მხრივ, მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს სამედიცინო მომსახურებაში.

*არ იგულისხმება:* ნორმიდან გადახრილი მონაცემები, მიღებული დედის ანტენატალური სკრინინგის შედეგად (O28.-) ,პერინატალურ პერიოდში წარმოქმნილი ზოგიერთი მდგომარეობები (P 00 - P 96)

**ეს თავი მოიცავს შემდეგ ბლოკებს:**

R00 - R09 სიმპტომები და ნიშნები, რომლებიც ეხება სისხლის მიმოქცევისა და სუნთქვის სისტემებს.
R10 - R19 სიმპტომები და ნიშნები, რომლებიც ეხება საჭმლის მომნელებელ სისტემასა და მუცლის მიდამოს
R20 - R23 სიმპტომები და ნიშნები, რომლებიც ეხება კანსა და კანქვეშა ქსოვილს
R25 - R29 სიმპტომები და ნიშნები, რომლებიც ეხება ნერვულ და ძვალ-კუნთოვან სისტემებს
R30 - R39 სიმპტომები და ნიშნები, რომლებიც ეხება საშარდე სისტემას
R40 - R46 სიმპტომები და ნიშნები, რომლებიც ეხება შემეცნებას, აღქმას, ემოციურ მდგომარეობასა და ქცევას
R47 - R49 სიმპტომები და ნიშნები, რომლებიც ეხება მეტყველებასა და ხმას
R50 - R69 ზოგადი სიმპტომები და ნიშნები
R70 - R79 სისხლის გასინჯვით მიღებული ნორმიდან გადახრილი მონაცემები, დიაგნოზის გარეშე
R80 - R82 შარდის გასინჯვით მიღებული ნორმიდან გადახრილი მონაცემები, დიაგნოზის გარეშე
R83 - R89 ორგანიზმის სხვა სითხეების, ნივთიერებებისა და ქსოვილების გასინჯვით მიღებული ნორმიდან გადახრილი მონაცემები, დიაგნოზის გარეშე
R90 - R94 დიაგნოსტიკური და ფუნქციური კვლევით გამოვლენილი დარღვევები, დიაგნოზის გარეშე
R95 - R99 სიკვდილობის ნაკლებად ცნობილი და უცნობი მიზეზები

## სიმპტომები და ნიშნები, რომლებიც ეხება სისხლის მიმოქცევისა და სუნთქვის სისტემებს (R00 - R09)

**R00** **გულის რიტმის დარღვევები**

*არ იგულისხმება:* პერინატალურ პერიოდში წარმოშობილი დარღვევები (P 29.1); განსაზღვრული არითმიები (I 47 - I 49)

R00.0 ტაქიკარდია, დაუზუსტებელი
აჩქარებული გულის ცემა

R00.1 ბრადიკარდია, დაუზუსტებელი
შენელებული გულის ცემა
გამოიყენეთ დამატებითი გარე მიზეზთა კოდი (თავი XX), თუ გსურთ დააზუსტოთ შეგრძნება, თუ იგი წამლითა გამოწვეული

R00.2 გულის ფრიალი
გულისცემის შეგრძნება

R00.8 გულისცემის სხვა და დაუზუსტებელი დარღვევები

**R01** **გულის შუილები და გულის სხვა ხმიანობები**
*არ იგულისხმება:* ის შუილედი და ხმიანობები, რომლებიც წარმოიქმნებიან პერინატალურ პერიოდში (P 29.8)

R01.0 გულის კეთილთვისებიანი და უმანკო შუილები
გულის ფუნქციური შუილი

R01.1 გული შუილი, დაუზუსტებელი
გულის ტონი, რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული

R01.2 გულის სხვა ხმიანობა
გულის ტონების მოყრუება, გაზრდილი ან შემცირებული
პერიკარდიული ხახუნი
განგრენა, რომელიც არ არის შეტანილი სხვა კლასიფიკაციებში
*არ იგულისხმება:* განგრენა (შემდეგი მდგომარეობების დროს):
. ათეროსკლეროზი (I 70.2)
. შაქრიანი დიაბეტი (E 10 - E 14 საერთო მეოთხე რიგის ქვეკატეგორიით .5)
. პერიფერიულ სისხლძარღვთა სხვა ავადმყოფობები (I 73.-)
განსაზღვრული ლოკალიზაციის განგრენა - იხ. ანბანური ინდექსი
აიროვანი განგრენა (A 48.0)
განგრენული პიოდერმია (L 88)

**R03** **სისხლის წნევის პათოლოგიური მაჩვენებლები, დიაგნოზის გარეშე**

R03.0 მომატებული სისხლის წნევის მაჩვენებლები, ჰიპერტენზიის დიაგნოზის გარეშე
*შენიშვნა:* ეს კატეგორია გამოიყენება მომატებული სისხლის წნევის ეპიზოდის ფიქსაციისათვის იმ ავადმყოფებში, რომელთაც ჰიპერტენზიის დიაგნოზი არ ჰქონდათ დასმული, ან ის აღენიშნათ როგორც იზოლირებული შემთხვევითი გამოვლენა

R03.1 სისხლის დაბალი წნევის დაუზუსტებელი მაჩვენებლები
*არ იგულისხმება:* ჰიპოტენზია (I 95.-); ნეიროგენული ორთოსტატიკური (G 90.3)
მშობიარეთა და მელოგინეთა ჰიპოტენზიის სინდრომი (O 26.5)

**R04** **სისხლდენა სასუნთქი გზებიდან**

R04.0 ეპისტაქსისი
ჰემორაგია ცხვირიდან
სისხლმდენი - ცხვირი

R04.1 სისხლდენა ყელიდან
*არ იგულისხმება:* ჰემოპტიზისი (R 04.2)

R04.2 ჰემოპტიზისი
სისხლიანი ნახველი
ხველა სისხლდენით

R04.8 სისხლდენა სასუნთქი გზების სხვა ნაწილებიდან
სისხლდენა ფილტვებიდან, რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული
*არ იგულისხმება:* პერინატალური სისხლდენა ფილტვებიდან (P 26.-)

R04.9 სისხლდენა სასუნთქი გზებიდან, დაუზუსტებელი

**R05** **ხველება**

*არ იგულისხმება:* ხველა სისხლდენით (R 04.2)

ფსიქოგენური ხველა (F 45.3)

**R06** **სუნთქვის დარღვევები**

*არ იგულისხმება:* სუნთქვის:

. შეჩერება (R 09.2);

. დისტრეს (სინდრომი): მოზრდილთა (J 80), ახალშობილთა (P 22.-)

. უკმარისობა (J 96.-)

. ახალშობილთა (P 28.5)

R06.0 დისპნოე

ორთოპნოე

ქოშინი

*არ იგულისხმება:* ახალშობილთა გარდამავალი ტაქიპნოე (P 22.1)

R06.1 სტრიდორი

*არ იგულისხმება:* თანდაყოლილი ხორხისმიერი სტრიდორი (Q 31.4); ლარინგოსპაზმი (stridulus) (J 38.5)

R06.2 მსტვინავი სუნთქვა

R06.3 პერიოდული სუნთქვა

ჩეინ-სტოქსის სუნთქვა

R06.4 ჰიპერვენტილაცია

*არ იგულისხმება:* ფსიქოგენური ჰიპერვენტილაცია (F 45.3)

R06.5 პირით სუნთქვა

ხვრინვა

*არ იგულისხმება:* მშრალი პირი, რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული (R 68.2)

R06.6 სლოკინი

*არ იგულისხმება:* ფსიქოგენური სლოკინი (F 45.3)

R06.7 ცემინება

R06.8 სუნთქვის სხვა და დაუზუსტებელი დარღვევები

აპნოე, რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული

სუნთქვის შეჩერება (შეტევები)

ხუთვის შეგრძნება

ამოხვნეშა

*არ იგულისხმება:* აპნოე:

. ახალშობილთა (P 28.4)

. ძილის (G 47.3)

. ახალშობილთა (პირველადი) (P 28.3)

**R07** **ყელისა და მკერდის ტკივილი**

*არ იგულისხმება:* დისფაგია (R 13)

. ეპიდემიური მიალგია (B 33.0)

ტკივილი: სარძევე ჯირკვალში (N 64.4), კისერში (M 54.2)

ყელის ტკივილი (მწვავე), რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული (J 02.9)

R07.0 ტკივილი ყელის არეში

R07.1 ტკივილი გულმკერდის არეში სუნთქვის დროს

მტკივნეული სუნთქვა

R07.2 პერიკარდიული (გულის მიდამოს) ტკივილი

R07.3 გულმკერდის სხვა ტკივილი

გულმკერდის წინა კედლის ტკივილი, რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული

R07.4 გულმკერდის ტკივილი, დაუზუსტებელი

**R09** **სხვა სიმპტომები და ნიშნები, რომლებიც ეხება სისხლის მიმოქცევისა და სუნთქვის სისტემებს**

*არ იგულისხმება*: სუნთქვის:
. დისტრეს (სინდრომი): მოზრდილთა (J 80), ახალშობილთა (P 22.-)
. უკმარისობა (J96.-): ახალშობილთა (P 28.5)

R09.0 ასფიქსია

*არ იგულისხმება*: ასფიქსია (გამოწვეული):
. მშობიარობით (P 21.-)
. ნახშირჟანგით (T 58)
. უცხო სხეულით სასუნთქი გზებში (T 17.-)
. საშვილოსნოსშიდა (P 20.-)
. ტრავმული (T 71)

R09.1 პლევრიტი

*არ იგულისხმება*: პლევრიტი ექსუდატით (J 90)

R09.2 სუნთქვის შეჩერება

კარდიორესპირაციული უკმარისობა

R09.3 პათოლოგიური ნახველი

პათოლოგიური: რაოდენობა, ფერი, სუნი
ჭარბი
*არ იგულისხმება*: სისხლიანი ნახველი (R 04.2)

R09.8 სხვა დაზუსტებული სიმპტომები და ნიშნები, რომლებიც ეხება სისხლის მიმოქცევისა და სუნთქვის სისტემებს

ტონები (არტერიული)
გულმკერდის: პერკუსიული ცვლილება, ხახუნის ხმა, ტიმპანური ხმიანობა
ხიხინი
სუსტი პულსი

## სიმპტომები და ნიშნები, რომლებიც ეხება საჭმლის მომნელებელ სისტემასა და მუცლის მიდამოს
## (R10 - R19)

*არ იგულისხმება*: გასტრო-ინტესტინალური ჰემორაგია (K 92.0 - K 92.2)
. ახალშობილის (P 54.0 - P 54.3)
ნაწლავური გაუვალობა (K 56.-)
. ახალშობილის (P 76.-)
პილოროსპაზმი (K 31.3)
თანდაყოლილი ან ჩვილი ბავშვების (Q 40.0)
სიმპტომები და ნიშნები, რომლებიც მოიცავენ საშარდე სისტემას (R 30 - R 39)
სიმპტომები, რომლებიც მიეკუთვნება სასქესო ორგანოებს: ქალის (N94.-), მამაკაცის (N48 - N50)

**R10** **მუცლისა და მენჯის ტკივილი**

*არ იგულისხმება*: დორზალგია (M 54.-)
მეტეორიზმი და მასთან დაკავშირებული მდგომარეობები (R14)
თირკმლის ჭვალი (N 23)

R10.0 მწვავე მუცელი

მუცლის მწვავე ტკივილი (გენერალიზებული) (ადგილობრივი) (მუცლის დაჭიმვით)

R10.1 მუცლის ზემო ნაწილში ლოკალიზებული ტკივილი

ეპიგასტრული ტკივილი

R10.2 ტკივილი მენჯისა და შორისის მიდამოში

R10.3 მუცლის სხვა ქვედა ნაწილებში ლოკალიზებული ტკივილი

R10.4 სხვა და დაუზუსტებელი ტკივილი მუცლის არეში

მუცლის მტკივნეულობა, რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული
ჭვალი: რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული, ადრეული ასაკის ბავშვთა

**R11** **გულისრევა და პირღებინება**
*არ იგულისხმება:* სისხლიანი ღებინება (K 92.0)
. ნეონატალური (P 54.0)
ღებინება:
. ჭარბი, ორსულობის დროს (O 21.-)
. რომელიც თან ახლავს კუჭ-ნაწლავის ოპერაციებს (K 91.0)
. ახალშობილის (P 92.0)
. ფსიქოგენური (F 50.5)

**R12** **გულძმარვა**
*არ იგულისხმება:* დისპეპსია (K 30)

**R13** **დისფაგია**
ყლაპვის გაძნელება

**R14** **მეტეორიზმი და მასთან დაკავშირებული მდგომარეობები**
მუცლის შებერვა (აირებით)
ბერვა
ბოყინი
კუჭსა და ნაწლავებში გაზების დაგროვებით გამოწვეული ტკივილი
ტიმპანიტი (მუცლის) (ნაწლავური)
*არ იგულისხმება:* ფსიქოგენური აეროფაგია (F 45.3)

**R15** **განავლის შეუკავებლობა**
ენკოპრეზი, რომელიც სხვაგვარად არ რის დაზუსტებული
*არ იგულისხმება:* რომლებიც არ არის არაორგანული წარმოშობის (F 98.1)

**R16** **ჰეპატომეგალია და სპლენომეგალია, რომლებიც არ არის შეტანილი სხვა კლასიფიკაციებში**

R16.0 ჰეპატომეგალია, რომელიც არ არის შეტანილი სხვა კლასიფიკაციებში
ღვიძლის გადიდება, რომელიც სხვაგვარდ არ არის დაზუსტებული

R16.1 სპლენომეგალია, რომლებიც არ არის შეტანილი სხვა კლასიფიკაციებში
ელენთის გადიდება, რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული

R16.2 ჰეპატომეგალია სპლენომეგალიასათან ერთად, რომლებიც არ არის შეტანილი სხვა კლასიფიკაციებში
ჰემატოსპლენომეგალია, რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული

**R17** **დაუზუსტებელი გენეზის სიყვითლე**
*არ იგულისხმება:* ნეონატალური სიყვითლე (P 55, P 57 - P 59)

**R18** **ასციტი**
სითხის არსებობა პერიტონეუმის ღრუში

**R19** **სხვა სიმპტომები და ნიშნები, რომლებიც ეხება საჭმლის მომნელებელ სისტემასა და მუცლის მიდამოს**
*არ იგულისხმება:* მწვავე მუცელი (R 10.0)

R19.0 მუცლისშიდა და მენჯის, მოცულობითი წარმონაქმნა
დიფუზური ან გენერალიზებული შმოცულობითი წარმონაქმნი:
. ინტრააბდომენური, რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული
. მენჯის, რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული
. ჭიპის
*არ იგულისხმება:* მუცლის შებერვა (აირებით) (R 14)
ასციტი (R 18)

R19.1 არანორმული ნაწლავური ხმიანობა
ნაწლავური ხმიანობის არარსებობა

გაძლიერებული ნაწლავური ხმიანობა

R19.2 ხილული პერისტალტიკა

ჰიპერპერისტალტიკა

R19.3 მუცლის რიგიდულობა (დაჭიმულობა)

*არ იგულისხმება:* ძლიერი აბდომინური ტკივილის დროს (R10.0)

R19.4 ნაწლავების მოზმედების ცვლილება

*არ იგულისხმება:* ყაბზობა (კონსტიპაცია) (K 59.0)

ფუნქციური ფაღარათი (K 59.1)

R19.5 სხვა ფეკალური ცვლილებები

განავლის არანორმალური ფერი

ჭარბი განავალი

ლორწო განავალში

*არ იგულისხმება:* მელენა (K 92.1),

. ნეონატალური (P 54.1)

R19.6 ცუდი სუნი პირიდან

R19.8 სხვა დაზუსტებული სიმპტომები და ნიშნები, რომლებიც ეხება საჭმლის მომნელებელ სისტემას და მუცელს

## სიმპტომები და ნიშნები, რომლებიც ეხება კანსა და კანქვეშა ქსოვილს (R20 - R23)

**R20 კანის მგრძნობელობის დარღვევები**

*არ იგულისხმება:* დისოციაციური გაუტკივარება და მგრძნობელობის დაკარგვა (F 44.6)

ფსიქოგენური დარღვევები (F 45.8)

R20.0 კანის ანესთეზია

R20.1 კანის ჰიპოესთეზია

R20.2 კანის პარესთეზია

ჭიანჭველების ცოცვის შეგრძნება

ჩხვლეტა ქინძისთავებითა და ნემსებით

ჩხვლეტისა და ჩქმეტის შეგრძნებები კანზე

*არ იგულისხმება:* აკროპარესთეზია (I 73.8)

R20.3 ჰიპერესთეზია

R20.8 კანის მგრძნობელობის სხვა დარღვევები, დაუზუსტებელი

**R21 გამონაყარი და კანის სხვა არასპეციფიკური დაზიანებები**

**R22 მოცულობითი წარმონაქმნი კანსა და კანქვეშა ქსოვილში ადგილობრივი შესიება და ამობურცულობა**

*იგულისხმება:* კანქვეშა კვანძები (ადგილობრივი) (ზედაპირული)

*არ იგულისხმება:* გამოსახულების მომცემი სადიაგნოსტიკო გამოკვლევების ნორმიდან გადახრილი შედეგები (R 90 - R 93)

გადიდებული ლიმფური კვანძები (R 59.-)

ადგილობრივი სიმსუქნე (E 65)

კვანძი და მოცულობითი წარმონაქმნი:

. სარძევე ჯირკვლის (N 63)

. ინტრააბდომინური ან მენჯის (R 19.0)

შეშუპება (R60.-)

შესიება: ინტრააბდომინური ან მენჯის (R 10,0), სახსრის (M 25.4)

R22.0 ადგილობრივი შესიება, მოცულობითი წარმონაქმნი და კვანძი, თავის

R22.1 ადგილობრივი შესიება, მოცულობითი წარმონაქმნი და კვანძი, კისრის

R22.2 ადგილობრივი შესიება, მოცულობითი წარმონაქმნი და კვანძი, სხეულის

R22.3 ადგილობრივი შესიება, მოცულობითი წარმონაქმნი და კვანძი, ზედა კიდურის

R22.4 ადგილობრივი შესიება, მოცულობითი წარმონაქმნი და კვანძი, ქვედა კიდურის
R22.7 ადგილობრივი შესიება, მოცულობითი წარმონაქმნი და კვანძი, მრავალ ადგილზე
R22.9 ადგილობრივი შესიება, მოცულობითი წარმონაქმნი და კვანძი, დაუზუსტებელი

### R23 კანის სხვა ცვლილებები

R23.0 ციანოზი

*არ იგულისხმება:* აკროციანოზი (I 73.8); ახალშობილის ციანოზური შეტევები (P 28.2)

R23.1 სიფერმკრთალე

წებოვანი კანი

R23.2 სახის კანის სიწითლე (ალმური)

სისხლის მოწოლა სახეზე

*არ იგულისხმება:* ქალის მენოპაუზური და კლიმაქსური მდგომარეობით გამოწვეული (N 95.1)

R23.3 სპონტანური სისხლჩაქცევები

პეტექიები

*არ იგულისხმება:* ნაყოფისა და ახალშობილის სისხლჩაქცევები (P 54.5); პურპურა (D 69.-)

R23.4 კანის სტრუქტურის ცვლილებები

დესქვამაცია } კანის
გაუხეშება } კანის
აქერცვლა } კანის

*არ იგულისხმება:* ეპიდერმული გასქელება, რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული (L 85.9)

R23.8 კანის სხვა და დაუზუსტებელი ცვლილებები

## სიმპტომები და ნიშნები, რომლბიც ეხება ნერვულ და ძვალ–კუნთოვან სისტემებს (R25 - R29)

### R25 პათოლოგიური უნებლიე მოძრაობები

*არ იგულისხმება:* მოძრაობის სპეციფიკური დარღვევები (G 20 - G 26)
მოძრაობის სტერეოტიპური დარღვევები (F 98.4)
ტიკები (F 95.-)

R25.0 თავის პათოლოგიური მოძრაობები

R25.1 ტრემორი, დაუზუსტებელი

*არ იგულისხმება:* ქორეა, რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული (G25.5)
ტრემორი: იდიოპათიური (G25.0), ისტერიული (F44.4), განზრახ მოძრაობები (G25.2)

R25.2 კრუნჩხვა და სპაზმი

*არ იგულისხმება:* ხელ-ფეხის სპაზმი (R29.0); ჩვილ ბავშვთა სპაზმები (G40.4)

R25.3 ფასტიკულაცია (კუნთოვანი ბოჭკოების უნებლიე შეკუმშვა) კრუნჩხვითი შეკუმშვა, რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული

R25.8 სხვა და დაუზუსტებელი პათოლოგიური უნებლიე მოძრაობები

### R26 სიარულის და მოძრაობის დარღვევები

*არ იგულისხმება:* ატაქსია:
. რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული (R27.0)
. მემკვიდრული (G11.-)
. ლოკომოტური (სიფილისური) (A52.1)
უმოძრაობის სინდრომი (პარაპლეგიური) (M62.3)

R26.0 ატაქსიური სიარული

ბარბაცით სიარული

R26.1 პარალიზური სიარული

სპასტიკური სიარული

R26.2 სიარულის გაძნელება, რომელიც არ არის შეტანილი სხვა კლასიფიკაციებში
R26.8 სიარულის და მოძრაობის სხვა და დაუზუსტებელი დარღვევები
არამყარად დგომა ფეხზე, რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული

**R27 კოორდინაციის სხვა დარღვევები**
*არ იგულისხმება:* ატაქსიური სიარული (R26.0)
მემკვიდრული ატაქსია (G11.-)
თავბრუსხვევა, რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული (R42)

R27.0 ატაქსია, დაუზუსტებელი
R27.8 კოორდინაციის სხვა და დაუზუსტებელი დარღვევები

**R29 სხვა სიმპტომები და ნიშნები, რომლებიც ეხება ნერვულ და ძვალ–კუნთოვან სისტემებს**

R29.0 ტეტანია
ტერფ-მტევნის სპაზმი
*არ იგულისხმება*: ტეტანია:
. ისტერიული (F44.5)
. ნეონატალური (P71.3)
. პარათიროიდული (E20.9)
. ფარისებრი ჯირკვლის ამოკვეთის შემდეგ განვითარებული (E89.2)

R29.1 მენინგიზმი
R29.2 რეფლექსების დარღვევა
*არ იგულისხმება*: გუგის რეფლექსის დარღვევა (H57.0)
ჰიპერაქტიური ღებინების რეფლექსი (I39.2)
ვაზოვაგუსური რეაქცია ან სინკოპე (R55)

R29.3 არანორმული პოზა
R29.4 ტკაცუნა მენჯ-ბარძაყის სახსარი
*არ იგულისხმება*: თეძოს თანდაყოლილი დეფორმაციები (Q65.-)

R29.8 სხვა და დაუზუსტებელი სიმპტომები და ნიშნები, რომლებიც მოიცავს ნერვულ და ძვალ-კუნთოვან სისტემებს

## სიმპტომები და ნიშნები, რომლებიც ეხება საშარდე სისტემას (R30 - R39)

**R30 შარდის გამოყოფასთან დაკავშირებული ტკივილი**
*არ იგულისხმება:* ფსიქოგენური ტკივილი (F45.3)

R30.0 დიზურია
მტკივნეული შარდვა

R30.1 შარდის ბუშტის ტენეზმი
R30.9 მტკივნეული მიქტურია, დაუზუსტებელი
მტკივნეული შარდვა, რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული

**R31 დაუზუსტებელი ჰემატურია**
*არ იგულისხმება*: პერიოდული ან მუდმივი ჰემატურია (N02.-)

**R32 შარდის შეუკავებლობა, დაუზუსტებელი**
ენურეზი, რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული
*არ იგულისხმება*: არაორგანული ენურეზი (F98.0)
სტრესით და სხვა დაზუსტებული მიზეზებით გამოწვეული შარდის შეუკავებლობა (N39.3-N39.4)

**R33 შარდის შეკავება**

**R34 ანურია და ოლიგურია**

*არ იგულისხმება*: რომლებიც გართულებულია:
. აბორტის, საშვილოსნოსგარე ან ბუშტ-ნამქერის ფონზე განვითარებული ორსულობის (O00-O07,O08.4)
. ორსულობის, მშობიარობისა და მშობიარობის შემდგომი პერიოდის (O26.8, O90.4)

**R35** **პოლიურია**
ხშირი შარდვა
ნიქტურია (ღამით შარდვა)
*არ იგულისხმება:* ფსიქოგენური პოლიურია (F45.3)

**R36** **ურეთრული გამონადენი**
გამონადენი სასქესო ასოდან
ურეთრორეა

**R39** **სხვა სიმპტომები და ნიშნები, რომლებიც ეხება საშარდე სისტემას**

R39.0 შარდის ექსტრავაზაცია
R39.2 სხვა გართულებები შარდვის დროს
მოშარდვისაგან შეფერხება
შარდის სუსტი ნაკადი
შარდის ნაკადის დანაწევრება
R39.2 ექსტრარენული ურემია
პრერენული ურემია
R39.8 სხვა და დაუზუსტებელი სიმპტომები და ნიშნები, რომლებიც მოიცავს საშარდე სისტემას

## სიმპტომები და ნიშნები, რომლებიც ეხება ცნობიერებას, აღქმას, ემოციურ მდგომარეობას და ქცევას (R40-R46)

*არ იგულისხმება:* რომლებიც წარმოადგენენ ფსიქიკური დარღვევების ერთ-ერთ გამოხატულებას (F00-F99)

**R40** **ძილიანობა, სტუპორი და კომა**
*არ იგულისხმება*: კომა:
. დიაბეტური (E10-E14 საერთო მეოთხე რიგით . 0)
. ღვიძლისმიერი (K72.-)
. ჰიპოგლიკემიური (არადიაბეტური)(F15)
. ნეონატალური (P91.5)
. ურემიული (N19)

R40.0 ძილიანობა
(სომნოლენცია) თვლემა
R40.1 სტუპორი
ნახევრადუგრძნობი მდგომარეობა
*არ იგულისხმება*: სტუპორი: კატატონიური (F20.2), დეპრესიული (F31-F33), დისოციაციური (F44.2), მანიაკალური (F30.2)
R40.2 კომა, დაუზუსტებელი
ცნობიერების დაკარგვის მდგომარეობა, რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული

**R41** **სხვა სიმპტომები და ნიშნები, რომლებიც ეხება შემეცნების ფუნქციებსა და ცნობიერებას**
*არ იგულისხმება:* დისოციაციური [კონვერსიული] დარღვევები (F44.-)

R41.0 დეზორიენტაცია, დაუზუსტებელი
აბნევა, რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული
*არ იგულისხმება:* ფსიქოგენური დეზორიენტაცია (F44.8)
R41.1 ანტეროგრადული ამნეზია
R41.2 რეტროგრადული ამნეზია

R41.3 სხვა ამნეზიები

ამნეზია, რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული

*არ იგულისხმება:* ამნეზიური სინდრომი:

. ფსიქოაქტიური ნივთიერების მოხმარებით გამოწვეული (F10-F19 საერთო მეოთხე რიგით .6)

. ორგანული (F04)

გარდამავალი სრული ამნეზია (G45.4)

R41.8 სხვა სიმპტომები და ნიშნები, რომლებიც ეხება შემეცნების ფუნქციებსა და ცნობიერებას, დაუზუსტებელი

**R42 თავბრუსხვევა**

მსუბუქი თავბრუ

ვერტიგო, რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული

*არ იგულისხმება:* ვერტიგოს სინდრომები (H81.-)

**R43 ყნოსვისა და გემოვნების დარღვევები**

R43.0 ანოსმია

R43.1 პაროსმია

R43.2 პარაგეზია

R43.8 ყნოსვისა და გემოვნების სხვა და დაუზუსტებელი დარღვევები

ყნოსვისა და გემოვნების შერეული დარღვევები

**R44 სხვა სიმპტომები და ნიშნები, რომლებიც ეხება ზოგად მგრძნობელობას და აღქმას**

*არ იგულისხმება:* კანის მგრძნობელობის დარღვევები (R20.-)

R44.0 სმენითი ჰალუცინაციები

R44.1 მხედველობითი ჰალუცინაციები

R44.2 სხვა ჰალუცინაციები

R44.3 დაუზუსტებელი ჰალუცინაციები

R44.8 სხვა და დაუზუსტებელი სიმპტომები და ნიშნები, რომლებიც ეხება ზოგად მგრძნობელობას და აღქმას

**R45 სიმპტომები და ნიშნები, რომლებიც ეხება ემოციურ მდგომარეობას**

R45.0 ნევროტულობა

ნერვული დაძაბულობა

R45.1 მოუსვენრობა და შფოთვა

R45.2 განწირულობის (უბედურების) შეგრძნება

წუხილი, რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული

R45.3 დემორალიზაცია და აპათია

R45.4 გაღიზიანება და მრისხანება

R45.5 მტრული განწყობა

R45.6 ფიზიკური ძალადობა

R45.7 ემოციური შოკის და სტრესის მდგომარეობა, დაუზუსტებელი

R45.8 სხვა სიმპტომები და ნიშნები, რომლებიც მოიცავს ემოციურ მდგომარეობას

**R46 სიმპტომები და ნიშნები, რომლებიც ეხება გარეგნობას და ქცევას**

R46.0 პირადი ჰიგიენის ძალიან დაბალი დონე

R46.1 ექსცენტრული გარეგნობა

R46.2 უცნაური და აუხსნელი ქცევა

R46.3 ზედმეტად აქტიური ქცევა

R46.4 შენელებულობა და სუსტი რეაგირება

*არ იგულისხმება:* სტუპორი (R40.1)

R46.5 ეჭვიანობა და გამოხატული კარჩაკეტილობა
R46.6 უმიზეზო ღელვა და სტრესული მოვლენებისათვის ზედმეტი ყურადღების გამოჩენა
R46.7 მრავალსიტყვაობა და უკეთესი კონტაქტის დასამყარებლად გარემოებისდა მიხედვით დეტალების დაფარვა
R46.8 სხვა სიმპტომები და ნიშნები, რომლებიც ეხება გარეგნობასა და ქცევას

## სიმპტომები და ნიშნები, რომლებიც ეხება მეტყველებასა და ხმას (R47 - R49)

**R47** **მეტყველების დარღვევები, რომლებიც არ არის შეტანილი სხვა კლასიფიკაციებში**
*არ იგულისხმება*: აუტიზმი (F84.0 - F84.1); მეტყველების გაძნელება (F98.6);
ენისა და მეტყველების განვითარების სპეციფიური დარღვევები (F80.-)
ენაბლუობა [ენაბრგვილობა] (F98.5)

R47.0 დისფაზია და აფაზია
*არ იგულისხმება*: პროგრესირებადი იზოლირებული აფაზია (G31.0)
R47.1 დიზართრია და ანართრია
R47.8 მეტყველების სხვა და დაუზუსტებელი დარღვევები

**R48** **დიზლექსია და სხვა სიმბოლური ფუნქციური დარღვევები, რომლებიც არ არის შეტანილი სხვა კლასიფიკაციებში**
*არ იგულისხმება:* სასკოლო ჩვევების განვითარების სპეციფიკური დარღვევები (F81.-)

R48.0 დიზლექსია და ალექსია
R48.1 აგნოზია
R48.2 აპრაქსია
R48.8 სხვა და დაუზუსტებელი სიმბოლური ფუნქციური დარღვევები
აკალკულია
აგრაფია

**R49** **ხმის ცვლილებები**
*არ იგულისხმება*: ხმის ფსიქოგენური დარღვევები (F44.4)

R49.0 დისფონია
ხრინწიანი ხმა
R49.1 აფონია - ხმის დაკარგვა
R49.2 ბგერის ძლიერი ცხვირისმიერი ხმოვანება და ბგერის ცხვირისმიერი ხმოვანება
R49.8 ხმის სხვა და დაუზუსტებელი ცვლილებები
ხმის შეცვლა, რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული

## ზოგადი სიმპტომები და ნიშნები (R50 - R69)

**R50** **უცნობი წარმოშობის ცხელება**
*არ იგულისხმება:* უცნობი წარმოშობის ცხელება: სამშობიარო მოქმედების დროს (O75.2), ახალშობილის (P81.9)
მელოგინეთა ცხელება, რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული (O86.4)

R50.0 ცხელება
შემცივნებით ციებ-ცხელება
R50.1 მუდმივი ცხელება
R50.9 დაუზუსტებელი ცხელება - ჰიპერპირექსია,რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული
პირექსია, რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული
*არ იგულისხმება*: ანესთეზიით გამოწვეული ავთვისებიანი ჰიპერთერმია (T88.3)

## R51 თავის ტკივილი

ტკივილი სახის არეში, რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული
*არ იგულისხმება:* ატიპიური ტკივილი სახის არეში (G50.1)
შაკიკი და თავის ტკივილის სხვა სინდრომები (G43 - G44)
სამწვერა ნერვის ნევრალგია (G50.0)

## R52 ტკივილი, რომელიც შეტანილი არ არის სხვა კლასიფიკაციებში

*იგულისხმება:* ტკივილი, რომელიც არ მიეკუთვნება რომელიმე ორგანოს ან სხეულის ნაწილს
*არ იგულისხმება:* ქრონიკული ტკივილის მქონე პიროვნების სინდრომი (F62.8)
თავის ტკივილი (R51)
ტკივილი:
. მუცლის არეში (R10.-)
. ზურგის არეში (M54.9)
. სარძევე ჯირკვლის არეში (N64.4)
. გულმკერდის არეში (R07.1 - R07.4)
. ყურის (H92.0)
. თვალის (H57.1)
. სახსრის (M25.5)
. კიდურების (M79.6)
. წელის არეში (M54.5)
. მენჯსა და შორისის მიდამოში (R10.2)
. ფსიქოგენური (F45.4)
. მხრის არეში (M75.8)
. ხერხემლის არეში (M54.-)
. ყელის (R07.0)
. ენის (K14.6)
. კბილის (K08.8)
თირკმლის ჭვალი (N23)

R52.0 მწვავე ტკივილი
R52.1 ქრონიკული ჩაუცხრობელი ტკივილი
R52.2 სხვა ქრონიკული ტკივილები
R52.9 ტკივილი, დაუზუსტებელი
გენერალიზებული ტკივილი, რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული

## R53 საერთო სისუსტე და დაღლა

ასთენია, რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული
სისუსტე: რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული, ქრონიკული, ნერვული
ზოგადი ფიზიკური მოშლილობა
ლეთარგია
დაღლილობა
*არ იგულისხმება:* სისუსტე: თანდაყოლილი (P96.9), მოხუცებულობითი (R54)
გამოფიტვა და ძლიერი დაღლა (გამოწვეული):
. ბრძოლით, გადაღლით (F43.0)
. დიდი დაძაბვით (T73.3)
. გარემო ფაქტორების ზემოქმედებით (T73.2)
. სიცხის ზემოქმედებით (T67.-)
. ნევრასთენიით (F48.0)
. ორსულობის დროს (O26.8)
. მოხუცებულობის ასთენიით (R48.0)
. გადაღლის სინდრომი (F48.0)
. პოსტვირუსული (G93.3)

## R54 სიბერე

მოხუცებულობის ასაკი } ფსიქოზის აღნიშვნის გარეშე
დაბერება }
მოხუცებულობითი: ასთენია; სისუსტე
*არ იგულისხმება:* სენილური ფსიქოზი (F03)

**R55** **სინკოპე და კოლაფსი**

გონების დაბინდვა

გულის წასვლა

*არ იგულისხმება*: ნეიროცირკულატორული ასთენია (F45.3)

ორთოსტატიკური ჰიპოტენზია (I95.1)

. ნეიროგენული (G90.3)

შოკი:

. რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული (R57.9)

. კარდიოგენული (R57.0)

. განვითარებული, როგორც გართულება შემდეგი მდგომარეობების დროს (შემდეგ):

. აბორტი ან საშვილოსნოსგარე ან ბუშტ-ნამქერის ფონზე განვითარებული ორსულობა (O00-O07,O08.3)

. სამშობიარო მოქმედება და მშობიარობა (O75.1)

. პოსტოპერაციული (T81.1)

სტოქს-ადამსის შეტევა (I45.9)

სინკოპე:

. კაროტიდული სინუსის (Q90.0)

. სითბური ზემოქმედების შედეგად (T67.1)

. ფსიქოგენური (F48.8)

ცნობიერების დაკარგვა, რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული (R40.2)

**R56** **კონვულსია, რომელიც არ არის შეტანილი სხვა კლასიფიკაციებში**

*არ იგულისხმება*: კონვულსია და კრუნჩხვა: დისოციაციური, ეპილეფსიური (G40 - G41), ახალშობილებში (P90)

R56.0 ფებრილური კონვულსია

R56.8 დაუდგენელი და სხვა კონვულსიები

გულყრა, რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული

კრუნჩხვა (კონვულსიური), რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული

**R57** **შოკი, რომელიც არ არის შეტანილი სხვა კლასიფიკაციებში**

*არ იგულისხმება*: შოკი (გამოწვეული):

. ანესთეზიით (T88.2)

. ანაფილაქსიით (გამოწვეული):

. რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული (T78.2)

. საკვებზე გვერდითი (T78.0)

. შრატით (T80.5)

. განვითარებული, როგორც გართულება, აბორტის, საშვილოსნოსგარე ან ბუშტ-ნამქერის ფონზე მიმდინარე ორსულობის დროს (O00-O07,O08.3)

. ელექტრული (T75.4)

. მეხით (T75.0)

. სამეანო (O75.1)

. ოპერაციის შემდგომი (O81.1)

. ფსიქიკური (F43.0)

. სეპტიკური (A41.9)

. ტრავმული (T79.4)

ტოქსიკური შოკის სინდრომი (A48.3)

R57.0 კარდიოგენური შოკი

R57.1 ჰიპოვოლემიური შოკი

R57.8 სხვა მიზეზებით გამოწვეული შოკი

ენდოტოქსიური შოკი

R57.9 შოკი, დაუზუსტებელი

პერიფერიული სისხლის მიმოქცევის უკმარისობა, რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული

**R58** **ჰემორაგია, რომელიც არ არის შეტანილი სხვა კლასიფიკაციებში**

ჰემორაგია, რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული

## R59 გადიდებული ლიმფური კვანძები

*იგულისხმება:* შესიებული ჯირკვლები
*არ იგულისხმება:* ლიმფადენიტი:
. რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული (I88.9)
. მწვავე (L04.-)
. ქრონიკული (I88.1)
. მეზენტერიული (მწვავე)(ქრონიკული)(I88.0)

R59.0 გადიდებული რეგიონული ლიმფური კვანძები

R59.1 ლიმფური კვანძების გენერალიზაციული გადიდება
ლიმფადენოპათია, რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული
*არ იგულისხმება:* ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით გამოწვეული გენერალიზებული ლიმფადენოპათია (B23.1)

R59.9 გადიდებული ლიმფური კვანძები, დაუზუსტებელი

## R60 შეშუპება, რომელიც არ არის შეტანილი სხვა კლასიფიკაციებში

*არ იგულისხმება:* ასციტი (R18)
ნაყოფის წყალმანკი, რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული (P83.2)
ჰიდროთორაქსი (I94.8)
შეშუპება:
. ანგიონევროზული (T78.3)
. ტვინის (G93.6)
. გამოწვეული სამშობიარო ტრავმით (P11.0)
. გესტაციური (O12.0)
. მემკვიდრული (Q82.0)
. ხორხის (J38.4)
. არასაკმარისი კვებით (E40-E46)
. ცხვირ-ხახის (J39.2)
. ახალშობილის (P83.3)
. ხახის (P39.2)
. ფილტვების (J81)

R60.0 ადგილობრივი შეშუპება

R60.1 ზოგადი შეშუპება

R60.9 შეშუპება, დაუდგენელი
სითხის დაგროვება, რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული

## R61 ჰიპერჰიდროზი

R61.0 ადგილობრივი ჰიპერჰიდროზი

R61.1 გენერალიზებული ჰიპერჰიდროზი

R61.9 ჰიპერჰიდროზი, დაუზუსტებელი
ჭარბი ოფლიანობა
ღამის ოფლიანობა

## R62 მოსალოდნელი ნორმული ფიზიოლოგიური ზრდა–განვითარების დაქვეითება

*არ იგულისხმება:* დაგვიანებული სქესობრივი მომწიფება (E30.0)

R62.0 განვითარების ეტაპების დაყოვნება
მოსალოდნელი ფიზიოლოგიური განვითარების ეტაპის დაგვიანებითი მიღწევა გვიანი:
. ლაპარაკი
. სიარული

R62.8 მოსალოდნელი ნორმული ფიზიოლოგიური განვითარების სხვა დარღვევები
უკმარისობა: წონაში მატების, ზრდის
ინფანტილიზმი, რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული
ზრდის შეჩერება
ფიზიკური განვითარების შეჩერება (რეტარდაცია)

*არ იგულისხმება:* ადამიანის იმუნდეფიციტის ვირუსით გამოწვეული დაავადებით განპირობებული ზრდის პროცესის დარღვევა (B22.2)
ფიზიკური განვითარების შეჩერება, გამოწვეული არასაკმარისი კვებით (E45)

R62.9 მოსალოდნელი ნორმული ფიზიოლოგიური განვითარების დარღვევა, დაუზუსტებელი

## R63 სიმპტომები და ნიშნები, რომლებიც ეხება საკვებისა და სითხის მიღებას

*არ იგულისხმება:* ბულემია (მგლის მადა), რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული (F50.2)
არაორგანული წარმოშობის კვებითი დარღვევები (F50.-); მალნუტრიცია (E40-E46)

R63.0 ანორექსია
მადის დაკარგვა
*არ იგულისხმება*: ნერვული ანორექსია (F50.0)
მადის დაკარგვა, არაორგანული წარმოშობის (F50.8)

R63.1 პოლიდიფსია
გაძლიერებული წყურვილი

R63.2 პოლიფაგია
გაძლიერებული ჭამა
ჰიპერალიმენტაცია,რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული

R63.3 კვების სიძნელეები და თავის გართმევის მოშლა
კვების პრობლემა, რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული
*არ იგულისხმება*: ჩვილი ბავშვის კვების პრობლემები (P92.-)
ჩვილი ბავშვის კვების დარღვევები, არაორგანული წარმოშობის (F98.2)

R63.4 პათოლოგიური დაკლება წონაში

R63.5 პათოლოგიური მომატება წონაში
*არ იგულისხმება:* წონაში მომატება ორსულობის დროს (O26.0); სიმსუქნე (E66.-)

R63.8 სხვა სიმპტომები და ნიშნები, რომლებიც ეხება საკვებისა და სითხის მიღებას

## R64 კახექსია

*არ იგულისხმება:* ადამიანის იმუნდეფიციტის ვირუსით გამოწვეული ავადმყოფობა გართულებული წონის დაკარგვის სინდრომით (B22.2)
ავთვისებიანი კახექსია (C80)
კვებითი მარაზმი (E41)

## R68 სხვა ზოგადი სიმპტომები და ნიშნები

R68.0 ჰიპოთერმია,რომელიც არ არის დაკავშირებული გარემოს დაბალ ტემპერატურასთან
*არ იგულისხმება*: ჰიპოთერმია (განპირობებული):
. რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული (შემთხვევეთი) (T68)
. ანესთეზიით (T88.5)
. გარემოს დაბალი ტემპერატურით (T68)
. ახალშობილის (P80.-)

R68.1 ჩვილი ბავშვებისათვის დამახასიათებელი არასპეციფიკური სიმპტომები
ჩვილის გადაჭარბებული ტირილი
აგზნებადი ჩვილი
*არ იგულისხმება*: ნეონატალური ცერებრული აგზნება (P91.3); კბილების ამოჭრის სინდრომი (K00.7)

R68.2 მშრალი პირი, დაუზუსტებელი
*არ იგულისხმება*: მშრალი პირი, გამოწვეული: დეჰიდრატაციით (E86), მშრალი სინდრომით [შეგრენის] (M35.0)
სანერწყვე ჯირკვლების ჰიპოსეკრეცია (K11.7)

R68.3 თითების ბოლქვისებრი გაგანიერება
ფრჩხილების ბოლქვისებრი გაგანიერება
*არ იგულისხმება*: თანდაყოლილი ბოლქვისებრი თითები (Q68.1)

R68.8 სხვა გარკვეული ზოგადი სიმპტომები და ნიშნები

**R69** **დაავადების უცნობი და დაუდგენელი მიზეზები**

ავადმყოფობა, რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული

დიაგნოზდაუსმელი დაავადება, დაუზუსტებელი, რომელ მიდამოს თუ სისტემას ეხება

## სისხლის გასინჯვით მიღებული ნორმიდან გადახრილი მონაცემები დიაგნოზის გარეშე (R70 - R99)

*არ იგულისხმება*: ნორმიდან გადახრილი მაჩვენებლები:

. დედის ანტენატალური სკრინინგით მიღებული (28.-)
. კოაგულაციის (D65-D68)
. ლიპიდების (E78.-)
. სისხლის ფირფიტების და თრომბოციტების (D69-)
. სისხლის თეთრი უჯრედების, რომელთა კლასიფიკაცია მოცემულია სხვა თავებში (D70-D72)

სადიაგნოსტიკო ნორმიდან გადახრილი მონაცემები, რომელთა კლასიფიკაცია მოცემულია სხვა თავებში - იხილე ანბანურიინდექსი

ნაყოფისა და ახალშობილის ჰემორაგიული და ჰემატოლოგიური დარღვევები (P50 - P61)

**R70** **ერთროციტების დალექვის გაზრდილი სიჩქარე და პლაზმის სიბლანტის შეცვლა**

R70.0 ერითროციტების დალექვის გაზრდილი სიჩქარე

R70.1 პლაზმის სიბლანტის შეცვლა

**R71** **სისხლის წითელი უჯრედების ცვლილებები**

სისხლის წითელი უჯრედის ნორმიდან გადახრა:

. მორფოლგია, რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული

. მოცულობა, რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული

ანიზოციტოზი

პოიკილოციტოზი

*არ იგულისხმება*: ანემიები (D50-D64)

პოლიციტემია: კეთილთვისებიანი (ოჯახური) (D75.0); ახალშობილობის (P61.1); მეორადი (D75.1); ჭეშმარიტი (D45)

**R72** **სისხლის თეთრი უჯრედების ცვლილებები, რომლებიც არ არის შეტანილი სხვა კლასიფიკაციებში**

შეცვლილი ლეიკოციტური ფორმულა, რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული

*არ იგულისხმება*: ლეიკოციტოზი (D72.8)

**R73** **გლუკოზის დონის მომატება სისხლში**

*არ იგულისხმება:* შაქრიანი დიაბეტი (E10 - E14)

. ორსულობის, მშობიარობის და მშობიარობის შემდგომ პერიოდში (O24.-)

ნეონატალური დარღვევები (P70.0-P70.2)

პოსტოპერაციული ჰიპოინსულინემია (E89.1)

R73.0 გლუკოზის ტოლერანტობის დარღვეული სინჯი

დიაბეტი: ქიმიური, ლატენტური

გლუკოზის ტოლერანტობის შეცვლა

პრედიაბეტი

R73.9 ჰიპერგლიკემია, დაუზუსტებელი

**R74** **შრატის ფერმენტების შემცველობის ნორმიდან გადახრა**

R74.0 ტრანსამინაზისა და რძე-მჟავა დეჰიდროგენაზის (LDH) დონის მომატება

R74.8 შრატის სხვა ფერმენტების შემცველობის ნორმიდან გადახრა

შეცვლილი კონცენტრაცია: მჟავე ფოსფატაზის, ტუტე ფოსფატაზის, ამილაზის, ლიპაზის (ტრიაცილგლიცეროლ ლიპაზის)

R74.9 შრატის დაუზუსტებელი ფერმენტების რაოდენობრივი ცვლილებები

**R75** **ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსის (აივ) ლაბორატორიული გამოვლენა**

აივ-ტესტირების შედეგები ახალშობილებსა და ჩვილ ბავშვებში, რომელიც არ იძლევა დასკვის საშუალებას

*არ იგულისხმება:* ასიმპტომური ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით (აივ) გამოწვეული უსიმპტომო ინფექციური სტატუსი (Z21)

ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით (აივ) გამოწვეული ავადმყოფობა (B20-B24)

**R76** **სხვა იმუნოლოგიური ცვლილებები შრატში**

R76.0 ანტისხეულების გაზრდილი ტიტრი

*არ იგულისხმება:* იზოიმუნიზაცია ორსულობის დროს (O36.0-O35.1)

. დაავადებული ნაყოფი ან ახალშობილი (P55.-)

R76.1 შეცვლილი რეაქცია ტუბერკულინურ სინჯზე

მანტუს სინჯზე შეცვლილი პასუხი

R76.2 ცრუ-დადებითი სეროლოგიური სინჯი ათაშანგზე

ცრუ-დადებითი ვასერმანის რეაქცია

R76.8 სხვა დაზუსტებული იმუნოლოგიური ცვლილებები შრატში

იმუნოგლობულინების გაზრდილი შემცველობა, რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული

R76.9 იმუნოლოგიური ცვლილებები შრატში, დაუზუსტებელი

**R77** **პლაზმის ცილების სხვა ცვლილებები**

*არ იგულისხმება:* პლაზმის ცილების მეტაბოლიზმის დარღვევები (E88.0)

R77.0 ალბუმინის ცვლილებები

R77.1 გლობულინების ცვლილებები

ჰიპერგლობულინემია,რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული

R77.2 ალფაფეტოპროტეინის ცვლილებები

R77.8 პლაზმის ცილების სხვა დაზუსტებული ცვლილებები

R77.9 პლაზმის ცილების ცვლილებები, დაუზუსტებელი

**R78** **წამლებისა და სხვა ნივთიერებების გამოვლენა ცვლილებები, რომელიც ჩვეულებრივ არ გვხვდება სისხლში**

*არ იგულისხმება:* ფსიქიკური და ქცევის დარღვევები, გამოწვეული ფსიქოაქტიური ნივთიერებების გამოყენებით (F10-F19)

R78.0 ალკოჰოლის აღმოჩენა სისხლში

გამოიყენეთ დამატებითი გარე მიზეზების კოდი (Y90.-) თუ გსურთ დააზუსტოთ ალკოჰოლის შემცველობა

R78.1 ოპიუმის აღმოჩენა სისხლში

R78.2 კოკაინის აღმოჩენა სისხლში

R78.3 ჰალუცინოგენის აღმოჩენა სისხლში

R78.4 სხვა ნარკოტიკული წამლების აღმოჩენა სისხლში

R78.5 ფსიქოტროპული წამლების აღმოჩენა სისხლში

R78.6 სტეროიდული აგენტის აღმოჩენა სისხლში

R78.7 მძიმე მეტალების შეცვლილი რაოდენობის აღმოჩენა სისხლში

R78.8 სხვა დაზუსტებული ნივთიერებების აღმოჩენა, რომლებიც ჩვეულებრივ არ გვხვდება სისხლში

R78.9 დაუზუსტებელი ნივთიერებების აღმოჩენა, რომლებიც ჩვეულებრივ არ გვხვდება სისხლში

**R79** **სისხლის ქიმიური შემადგენლობის სხვა ცვლილებები**

*არ იგულისხმება:* სითხეების, ელექტროლიტების და მჟავა-ტუტოვანი წონასწორობის დარღვევები (E86-E87)

ასიმპტომური ჰიპერურიკემია (E79.0)

ჰიპერგლიკემია,რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული (R73.9)

ჰიპოგლიკემია,რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული (E16.2)
. ახალშობილის (P70.3-P70.4)
სპეციფიკური ცვლილებები, რომლებიც მიანიშნებს შემდეგ დარღვევებზე:
. ამინომჟავების მეტაბოლიზმის (E70-E72)
. ნახშირწყლების მეტაბოლიზმის (E73-E74)
. ლიპიდების მეტაბოლიზმის (E75.-)

R79.0 სისხლში მინერალების შემცველობის ნორმიდან გადახრა

შეცვლილი შემცველობა სისხლში
. კობალტის
. სპილენძის
. რკინის
. მაგნიუმის
. მინერალის, რომლებიც არ არის შეტანილი სხვა კლასიფიკაციებში
. თუთიის

*არ იგულისხმება:* ლითიუმის შეცვლილი შემცველობა (E78.8)
მინერალების მეტაბოლიზმის დარღვევები (E83.-)
ნეონატალური ჰიპომაგნიუმემია (P71.2)
მინერალების უკმარისობა საკვებში (E58-E61)

R79.8 სისხლის ქიმიური შემადგენლობის სხვა დაზუსტებული ცვლილებები

სისხლში აირების შემცველობის ნორმიდან გადახრა

R79.8 სისხლის ქიმიური შედგენილობის ცვლილებები, დაუზუსტებელი

## შარდის გასინჯვით მიღებული ნორმიდან გადახრილი მონაცემები, დიაგნოზის გარეშე (R80-R82)

*არ იგულისხმება*: დედის ანტენატალურ პერიოდში სკრინინგით მიღებული დარღვევები (O28.-)
დიაგნოსტიკური კვლევისას აღმოჩენილი დარღვევები, რომლებიც შეტანილია სხვა კლასიფიკაციებში - იხ. ანბანური ინდექსი
სპეციფიური მაჩვენებლები, რომლებიც მიუთითებს შემდეგ დარღვევებზე:
. ამინომჟავების მეტაბოლიზმის (E70-E72)
. ნახშირწყლების მეტაბოლიზმის (E73-E74)

### R80 იზოლირებული პროტეინურია

ალბუმინურია, რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული
ბენს ჯონსის პროტეინურია
პროტეინურია, რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული

*არ იგულისხმება*: პროტეინურია:
. ორსულობით გამოწვეული (გესტაციური) (O12.1)
. იზოლირებული, დაზუსტებული მორფოლოგიური დაზიანებით (N06.-)
. ორთოსტატიკური (N39.2)
. პერსისტიული (N39.1)

### R81 გლუკოზურია

*არ იგულისხმება*: თირკმლისმიერი გლუკოზურია (E74.8)

### R82 შარდის სხვა მაჩვენებლების ცვლილებები

*არ იგულისხმება:* ჰემატურია (R31)

R82.0 ქილურია

*არ იგულისხმება:* ფილარიული ქილურია (B74.-)

R82.1 მიოგლობინურია

R82.2 ბილიურია

R82.3 ჰემოგლობულინურია

*არ იგულისხმება*: ჰემოგლობულინურია:
. გამოწვეული გარეგანი ფაქტორებით განპირობებული ჰემოლიზით, რომლებიც არ

არის შეტანილი სხვა კლასიფიკაციებში (D59.6)
. ღამის პაროქსიზმული (მარკიაფავა-მიქელის) (D59.5)

R82.4 **აცეტონურია**
კეტონურია

R82.5 **წამლების, მედიკამენტების და ბიოლოგიური ნივთიერებების მომატებული მაჩვენებლები შარდში**
შარდში მომატებული შემცველობა:
. კატექოლამინების
. ინდოლაცეტური მჟავის
. 17-კეტოსტეროიდების
. სტეროიდების

R82.6 **ძირითადად არასამკურნალო ნივთიერებების ნორმიდან გადახრილი შემცველობა შარდში**
მძიმე მეტალების არანორმული რაოდენობა შარდში

R82.7 **შარდის მიკრობიოლოგიური კვლევით გამოვლენილი დარღვევები**
კულტურალური გამოკვლევის დადებითი მონაცემები

R82.8 **შარდის ციტოლოგიური და ჰოსტოლოგიური კვლევით გამოვლენილი დარღვევები**

R82.9 **სხვა და დაუზუსტებელი დარღვევების გამოვლენა შარდში**
უჯრედების და ცილინდრების გამოვლენა შარდში
კრისტალურია
მელანურია

## ორგანიზმის სხვა სითხეების, ნივთიერებებისა და ქსოვილების გასინჯვით მიღებული ნორმიდან გადახრილი მონაცემები, დიაგნოზის გარეშე (R83-R89)

*არ იგულისხმება:* ნორმიდან გადახრილი მონაცემები (მიღებული):
. დედის ანტენატალური სკრინინგით (O28.-)
. გამოკვლევით:
. სისხლის, დიაგნოზის გარეშე (R70-R79)
. შარდის, დიაგნოზის გარეშე (R80-R82)

დიაგნოსტიკური კვლევით გამოვლენილი დარღვევები, რომლებიც შეტანილია სხვა კლასიფიკაციებში - იხ. ანბანური ინდექსი

ქვემოთ ჩამოთვლილი მეოთხე რიგის ქვედანაყოფები გამოიყენეთ R83-R89 კატეგორიებთან ერთად:
. 0 ფერმენტების ნორმიდან გადახრილი შემცველობა
. 1 ჰორმონების ნორმიდან გადახრილი შემცველობა
. 2 სხვა წამლების, მედიკამენტების და ბიოლოგიური ნივთიერებების ნორმიდან გადახრილი შემცველობა
. 3 ძირითადად არასამკურნალო დანიშნულების ნივთიერებების ნორმიდან გადახრილი შემცველობა
. 4 იმუნოლოგიური გამოკვლევით გამოვლენილი დარღვევები
. 5 მიკრობიოლოგიური გამოკვლევით გამოვლენილი დარღვევები კულტურების გამოკვლევით მიღებული დადებითი მონაცემები
. 6 ნორმიდან გადახრილი ციტოლოგიური მონაცემები ნორმიდან გადახრილი პაპანიკოლაუს ნაცხი
. 7 ნორმიდან გადახრილი ჰისტოლოგიური მონაცემები
. 8 სხვა ნორმიდან გადახრილი მონაცემები ნორმიდან გადახრილი ქრომოსომული მონაცემები
. 9 ნორმიდან გადახრილი დაუზუსტებელი მონაცემები

**R83** **თავ-ზურგ-ტვინის სითხეში გამოვლენილი ნორმიდან გადახრილი მონაცემები**

**R84** **სუნთქვის სისტემის ორგანოებიდან და გულმკერდის ღრუდან აღებულ სინჯებში გამოვლენილი დარღვევები**
ნორმიდან გადახრილი მონაცემები:
. ბრონქების ნაცხში

. ცხვირის სეკრეტში
. პლევრის სითხეში
. ნახველში
. ყელის ლორწოვანის ნაცხში
*არ იგულისხმება*: სისხლიანი ნახველი (R04.2)

**R85 საჭმლის მომნელებელი სისტემიდან და მუცლის ღრუდან აღებულ სინჯებში გამოვლენილი დარღვევები**

ნორმიდან გადახრილი მონაცემები:
. პერიტონეუმის სითხეში
. ნერწყვში
*არ იგულისხმება*: განავალში არსებული ცვლილებები (R19.5)

**R86 მამაკაცის სასქესო ორგანოებიდან აღებულ სინჯებში გამოვლენილიდარღვევები**

ნორმიდან გადახრილი მონაცემები:
. წინამდებარე ჯირკვლის სეკრეტში
. სპერმაში, სათესლის სეკრეტში
სპერმატოზოიდების ნორმიდან გადახრა
*არ იგულისხმება*: აზოოსპერმია (N46); ოლიგოსპერმია (N46)

**R87 ქალის სასქესო ორგანოებიდან აღებულ სინჯებში გამოვლენილი დარღვევები**

ნორმიდან გადახრილი მონაცემები სეკრეტსა და ნაცხში:
. საშვილოსნოს ყელიდან
. საშოდან
. გარეთა სასქესო ორგანოებიდან
*არ იგულისხმება*: კარცინომა in situ (D05-D07.3)
დისპლაზია: საშვილოსნოს ყელის (N87.-); საშოსი (N89.0-N89.3); გარეთა სასქესო ორგანოების (N90.0-N90.3)

**R89 სხვა ორგანოებიდან, სისტემებიდან და ქსოვილებიდან აღებულ სინჯებში გამოვლენილი დარღვევები**

ნორმიდან გადახრილი მონაცემები:
კერტის გამონადენში: სინოვიალურ სითხეში, ჭრილობის გამონადენში

## დიაგნოსტიკური და ფუნქციური კვლევით გამოვლენილი დარღვევები დიაგნოზის გარეშე (R90-R94)

*იგულისხმება:* დიაგნოსტიკური გამოკვლევით გამოვლენილი არასპეციფიური დარღვევები (მიღებული):
. კომპიუტერული ღერძული ტომოგრაფიით (CAT scan)
. მაგნიტურ-რეზონანსული მეთოდით (MRI)(NMR)
. პოზიტრონული გამოსხივების ტომოგრაფით (PET scan)
. თერმოგრაფიით
. ულტრაბგერით (ექოგრამა)
. რენტგენოლოგიური გამოკვლევით

*არ იგულისხმება*: დედის ორგანიზმის ანტენატალურ პერიოდში სკრინინგით გამოვლენილი დარღვევები (O28.-)
დიაგნოსტიკური კვლევისას აღმოჩენილი პათოლოგიური მდგომარეობები, რომლებიც შეტანილია სხვა კლასიფიკაციებში - იხ. ანბანური ინდექსი

**R90 ცენტრალური ნერვული სისტემის დიაგნოსტიკური გამოკვლევით გამოვლენილი დარღვევები**

R90.0 ინტრაკრანიულ სივრცეში არსებული დაზიანება
R90.8 ცენტრალური ნერვული სისტემის დიაგნოსტიკური გამოკვლევისას გამოვლენილი სხვა ნორმიდან გადახრილი მონაცემები

ნორმიდან გადახრილი ექოენცეფალოგრამა

**R91** **ფილტვების დიაგნოსტიკური გამოკვლევით გამოვლენილი ნორმიდან გადახრილი მონაცემები**

მონეტისებური დაზიანება, რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული

კვანძი ფილტვში, რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული

**R92** **სარძევე ჯირკვლის დიაგნოსტიკური გამოკვლევით გამოვლენილი ნორმიდან გადახრილი მონაცემები**

**R93** **სხეულის სხვა სტრუქტურების დიაგნოსტიკური გამოკვლევისით გამოვლენილი ნორმიდან გადახრილი მონაცემები**

R93.0 თავისა და თავის ქალას დიაგნოსტიკური გამოკვლევით გამოვლენილი ნორმიდან გადახრილი მონაცემები, რომლებიც არ არის შეტანილი სხვა კლასიფიკაციებში

*არ იგულისხმება*: ინტრაკრანიულ სივრცეში არსებული დაზიანება (R90.0)

R93.1 გულისა და კორონარული სისხლძარღვების დიაგნოსტიური გამოკვლევებით გამოვლენილი ნორმიდან გადახრილი მონაცემები

ნორმიდან გადახრილი მონაცემები:

. ექოკარდიოგრამა, რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული

. გულის შეცვლილი ჩრდილი

R93.2 ღვიძლისა და ნაღვლის გზების დიაგნოსტიკური გამოკვლევით გამოვლენილი ნორმიდან გადახრილი მონაცემები

ნაღვლის ბუშტის ვიზუალიზაციის შეუძლებლობა

R93.3 საჭმლის მომნელებელი ტრაქტის სხვა ნაწილების დიაგნოსტიკური გამოკვლევით გამოვლენილი ნორმიდან გადახრილი მონაცემები

R93.4 საშარდე ორგანოების დიაგნოსტიკური კვლევით გამოვლენილი ნორმიდან გადახრილი მონაცემები

ავსების დეფექტი: შარდის ბუშტის, თირკმლის, შარდსაწვეთის

*არ იგულისხმება*: თირკმლის ჰიპერტროფია (N28.8)

R93.5 მუცლის სხვა მიდამოების, მათ შორის რეტროპერიტონეუმის დიაგნოსტიკური გამოკვლევით გამოვლენილი ნორმიდან გადახრილი მონაცემები

R93.6 კიდურების დიაგნოსტიკური გამოკვლევით აღმოჩენილი პათოლოგიები

*არ იგულისხმება:* კანსა და კანქვეშა ქსოვილში გამოვლენილი ნორმიდან გადახრილი მონაცემები (R93.8)

R93.7 ძვალ-კუნთოვანი სისტემის სხვა ნაწილების დიაგნოსტიკური გამოკვლევით გამოვლენილი ნორმიდან გადახრილი მონაცემები

*არ იგულისხმება*: თავის ქალას დიაგნოსტიკური გამოკვლევით გამოვლენილი ნორმიდან გადახრილი მონაცემები (R93.0)

R93.8 სხეულის სხვა გარკვეული სტრუქტურების დიაგნოსტიკური გამოკვლევით გამოვლენილი ნორმიდან გადახრილი მონაცემები

კანისა და კანქვეშა ქსოვილის რადიოლოგიური გამოკვლევით გამოვლენილი ნორმიდან გადახრილი მონაცემები; შუასაყრის გადანაცვლება

**R94** **ფუნქციური გამოკვლევით მიღებული ნორმიდან გადახრილი მონაცემები**

*იგულისხმება:* ნორმიდან გადახრილი მონაცემები (მიღებული): რადიობირთვული (რადიოიზოტოპური) გამოკვლევით, სცინტიგრაფიით

R94.0 ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქციური გამოკვლევით მიღებული ნორმიდან გადახრილი მონაცემები

ნორმიდან გადახრილი ელექტროენცეფალოგრამა (EEG)

R94.1 პერიფერიული ნერვული სისტემის და გრძნობის ორგანოების ფუნქციური გამოკვლევით მიღებული ნორმიდან გადახრილი მონაცემები

ნორმიდან გადახრილი: ელექტრომიოგრამა (EMG); ელექტროოკულოგრამა (EOG); ელექტრორეტინოგრამა (ERG); პასუხი ნერვის გაღიზიანებაზე; ვიზუალურად აღმოცენებული პოტენციალი (VEP)

R94.2 ფილტვების ფუნქციური გამოკვლევით მიღებული ნორმიდან გადახრილი მონაცემები
შემცირებული: სასუნთქი ტევადობა, სასიცოცხლო ტევადობა

R94.3 გულ-სისხლძარღვთა ფუნქციური გამოკვლევის მიღებული ნორმიდან გადახრილი მონაცემები
ნორმიდან გადახრილი:
. ელექტროკარდიოგრამა (ECG)(EKG)
. ელექტროფიზიოლოგიური ინტრაკრანიული მონაცემები
. ფონოკარდიოგრამა
. ვექტორკარდიოგრამა

R94.4 თირკმლის ფუნქციური გამოკვლევის მიღებული ნორმიდან გადახრილი მონაცემები
თირკმლის დარღვეული ფუნქციური ტესტი

R94.5 ღვიძლის ფუნქციური კვლევით მიღებული ნორმიდან გადახრილი მონაცემები

R94.6 ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციური გამოკვლევით მიღებული ნორმიდან გადახრილი მონაცემები

R94.7 სხვა ენდოკრინული ფუნქციების გამოკვლევით მიღებული ნორმიდან გადახრილი მონაცემები
*არ იგულისხმება*: გლუკოზის ტოლერანტობის შეცვლილი სინჯი (R73.0)

R94.8 სხვა ორგანოებისა და სისტემების ფუნქციური გამოკვლევით მიღებული ნორმიდან გადახრილი მონაცემები
ნორმიდან გადახრილი:
. ძირითადი ცვლის დონე (BMR)
. შარდის ბუშტის ფუნქციური ტესტი
. ელენთის ფუნქციური ტესტი

## სიკვდილიანობის ნაკლებად ცნობილი და უცნობი მიზეზები (R95-R99)

*არ იგულისხმება*: ნაყოფის სიკვდილი, დაუზუსტებელი მიზეზით (P95)
სამეანო სიკვდილი, რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული (O95)

### R95 ჩვილი ბავშვის უეცარი სიკვდილის სინდრომი

### R96 სხვა უეცარი სიკვდილი, გამოწვეული უცნობი მიზეზით

*არ იგულისხმება:* უეცარი:
. კარდიული სიკვდილი, ეგრეთ წოდებული (I46.1)
. ჩვილი ბავშვის უეცარი სიკვდილის სინდრომი (R95)

R96.0 მყისიერი სიკვდილი

R96.1 სიკვდილი, რომელიც დგება სიმპტომების გაჩენიდან არაუგვიანეს 24 სთ-ში, სხვანაირად აუხსნელი ძალადობის გარეშე დამდგარი ან მყისიერი
სიკვდილი, რომელთა მიზეზები არ არის ცნობილი
სიკვდილი, დაავადების ნიშნების გარეშე

### R98 სიკვდილი მოწმეების გარეშე

სიკვდილის დადგომა იმ გარემოებაში, სადაც აღმოჩენილი იქნება მიცვალებულის სხეული, მიზეზი უცნობია
ნაპოვნი გვამი

### R99 სიკვდილის სხვა დაუზუსტებელი და უცნობი მიზეზები

სიკვდილი, რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული
სიკვდილის უცნობი მიზეზი